

კორპორაციული პორტალით სარგებლობის პირობები	Corporate Portal – Terms of Use
წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 15 აგვისტო	The said Agreement is made on 15 August, 2025
მხარეები/Parties:	მხარეები/Parties:
ოპერატორი/ Operator	აბონენტი/Subscriber
სახელწოდება/Organisation Name:	სახელწოდება/Organisation Name:
შპს „მაგთიკომი“/Magticom LLC	დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩო საქართველოში/Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland
საიდ. ნომერი/Identification Code: 204876606	საიდ. ნომერი/Identification Code: 206057121
მისამართი/Address:	მისამართი/Address:
ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7.	ქ. თბილისი, 0114, კრწანისის ქუჩა #51
Tbilisi, A. Politkovskaya street 7, 0186.	51 Krtsanisi Street, Tbilisi, 0114
საკონტაქტო ტელ./Contact tel. number:	საკონტაქტო ტელ./Contact tel. number:
(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი/Hotline)	(995 32) 2274747
საბანკო რეკვიზიტები/bank details:	საბანკო რეკვიზიტები/Bank details:
GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050	
უფლებამოსილი პირი/Representative:	უფლებამოსილი პირი/Authorised Representative:
ზურაბ ზარიძე/Zurab Zaridze	თამარა ჯაიანი/Tamara Jaiani
ვინაიდან, აბონენტსა და ოპერატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აბონენტს მიეწოდება საკომუნიკაციო მომსახურება და აბონენტის სურვილია მომსახურების ფარგლებში ისარგებლოს ოპერატორის კორპორაციული პორტალით	Whereas the Subscriber is provided with communications services under the Contract made between the Subscriber and the Operator, and the Subscriber wishes to use the Operator's corporate portal as part of such services,
ამდენად, მხარეები თანხმდებიან „პორტალით“ სარგებლობის შემდეგ პირობებზე:	Therefore, the Parties agree on the following terms of use of the Portal:
1. ზოგადი პირობები	1. General
1.1. კორპორაციული პორტალი (შემდგომში - „პორტალი“) წარმოადგენს ოპერატორის მიერ შექმნილ თვითმომსახურების პროგრამას, რომლის საშუალებით აბონენტს შესაძლებლობა აქვს დისტანციურად გამოითხოვოს/მიიღოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, შეიძინოს/გაიაქტიუროს მომსახურება/პაკეტი, ნომრებზე ჩართოს/გამორთოს მომსახურება და განახორციელოს სხვა სახის ქმედებები, რომლის შესაძლებლობასაც იძლევა „პორტალი“.	1.1. The corporate portal (hereinafter – the Portal) is a self-service software developed by the Operator enabling the Subscriber to remotely request/receive different types of information, purchase/activate a service/package, activate/deactivate a service on numbers, and perform any other types of actions supported by the Portal.

<p>1.2. პორტალით“ სარგებლობა რეგულირდება წინამდებარე პირობებით, მხარეთა შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით და სხვა ნებისმიერი დამატებითი შეთანხმებებით, რომელიც შეეხება „პორტალის“ რეგულირების საგანს.</p>	<p>1.2. The Portal use is governed by these terms, the Contract made between the Parties, and any other additional agreements involving the scope of regulation of the Portal.</p>
<p>1.3. პორტალზე შესაძლებელი იქნება იმ მომსახურებებთან (მობილური, მათ შორის მონაცემთა გადაცემის, ფიქსირებული ინტერნეტ და სხვა მომსახურებები) დაკავშირებული ინფორმაციის ნახვა/ქმედებების განხორციელება, რომლითაც სარგებლობს აბონენტი. აბონენტი თავად განსაზღვრავს რომელი მომსახურების ფარგლებში სურს პორტალით სარგებლობა და ამის შესახებ უნდა შეატყობინოს ოპერატორს წერილობით. აბონენტი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წერილობით მოსთხოვოს ოპერატორს კონკრეტული მომსახურების ფარგლებში პორტალით სარგებლობის უფლების მინიჭება, რედაქტირება ან გაუქმება.</p>	<p>1.3. The Portal shall enable access to the information or perform actions relating to the services (mobile, including data transmission, fixed internet and other services) used by the Subscriber. The Subscriber shall determine on his/her own the service, as part of which he/she wishes to use the Portal and shall give the Operator a notice thereon in writing. The Operator may request, at any time, from the Operator in writing activation, modification or deactivation of the right to use the Portal as part of a particular service.</p>
<p>1.4. „პორტალით“ სარგებლობა გამიზნულია მხოლოდ „უფლებამოსილი მომხმარებლებისათვის“, როგორც ეს განმარტებულია ამ პირობების 2.4 პუნქტში, სახელისა და პაროლის/ავტორიზაციის კოდის გამოყენებით, აქედან გამომდინარე აბონენტმა, „პორტალით“ არაავტორიზებული სარგებლობის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა სათანადოდ დაიცვას „უფლებამოსილი მომხმარებლებისათვის“ სახელი და პაროლი.</p>	<p>1.4. The use of the Portal is intended only for Authorized Users as defined in Paragraph 2.4 of these Terms, with the use of name and password/authorization code and, therefore, to avoid any unauthorized use of the Portal, the Subscriber shall make his/her best efforts to properly protect the Authorized User's name and password.</p>
<p>1.5. „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მოთხოვნა მიიჩნევა აბონენტის ნების გამოვლენად და „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მოთხოვნის საფუძველზე ოპერატორის მიერ განხორციელებული ქმედება ჩაითვლება აბონენტის მოთხოვნის შესრულებად.</p>	<p>1.5. The Authorized User's request shall amount to the expression of the Subscriber's wishes and the action performed by the Operator based on the Authorized User's request shall amount to the performance of the Subscriber's request.</p>
<p>1.6. „პორტალის“ ფუნქციონირების თავისებურებებიდან გამომდინარე, ოპერატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს „პორტალის“ ვიზუალური მხარე, მართვის და ფუნქციონირების წესი, დაამატოს ან გამოაკლოს „პორტალის“ ფარგლებში გათვალისწინებული ფუნქციები/სერვისები წინასწარი შეტყობინების გარეშე და „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მიერ „პორტალით“ სარგებლობის გაგრძელება ავტომატურად ნიშნავს ამ შეცვლილი პირობებისადმი თანხმობას.</p>	<p>1.6. Due to the functional specifics of the Portal, the Operator may at any time change the visual side of the Portal, management and functioning rules, add or remove the Portal functions/services without any prior notice, and the Authorized User's continuation of the use of the Portal shall amount to a tacit acceptance of such changed terms.</p>
<p>1.7. „ოპერატორს“ ასევე უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები, რის შესახებაც წინასწარ უნდა შეატყობინოს აბონენტს მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ოპერატორს უფლება შეტყობინებისთვის გამოიყენოს „პორტალის“ შესაბამისი</p>	<p>1.7. Further, the Operator may change these terms at any time by giving the Subscriber prior notice in the manner envisaged by the Service Contract. The Operator may use the appropriate Portal function for such notice. The Operator does not warrant that the Portal shall be accessible at any time, and, in this</p>

<p>ფუნქციონალი. ოპერატორი გარანტიას არ იძლევა, რომ „პორტალი“ ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერ დროს, ამასთან „პორტალით“ სარგებლობისას არ არსებობს მხარეთა შორის „პორტალის“ ხელმისაწვდომობის ხარისხის შესახებ შეთანხმება. გამომდინარე აქედან, აბონენტი აცნობიერებს, რომ პერიოდულად „პორტალი“ შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახის სამუშაოების ან სხვა, მათ შორის მესამე პირთა მხრიდან გამოწვეული მიზეზებით, რისთვისაც ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი.</p>	<p>respect, there is no agreement between the Parties regarding the quality of access to the Portal when using the Portal. Therefore, the Subscriber is aware that the Portal may not be accessible from time to time due to different types of works or other causes, including the circumstances caused by third persons, for which the Operator is not liable.</p>
<p>2. „პორტალზე“ რეგისტრაცია, სარგებლობა და გაუქმება</p>	<p>2. Signing up on, Using and Unsubscribing from the Portal</p>
<p>2.1. „პორტალზე“ რეგისტრაციისათვის აბონენტმა უნდა შეავსოს და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა ხელი მოაწეროს (დაამოწმოს ბეჭდით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქვემოთ მოცემულ რეგისტრაციის ფორმას.</p>	<p>2.1. To sign up on the Portal, the Subscriber must complete, and the authorized person must sign (affix the seal, if any) the Signup Form given below.</p>
<p>2.2. ოპერატორი განიხილავს მიწოდებულ რეგისტრაციის ფორმას 5 სამუშაო დღის ვადაში. თუ რეგისტრაციის ფორმა არ იქნება სრულყოფილად შევსებული, ოპერატორი შეატყობინებს აბონენტს აღნიშნულის თაობაზე. თუ აბონენტი სარგებლობს სხვადასხვა სახის მომსახურებით, აბონენტმა რეგისტრაციის ფორმას უნდა დაურთოს წერილი და მიუთითოს რომელი მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში სურს პორტალის გააქტიურება. ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში, ოპერატორი, რეგისტრაციის ფორმაში მითითებულ ელ. ფოსტაზე გაუზავნის აბონენტს ბმულს და „ადმინისტრატორის“ ანგარიში გააქტიურდება ბმულზე შესვლით, შესაბამისი ველების შევსებით და მობილურის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი ავტორიზაციის კოდის შეყვანით. „ადმინისტრატორი“ სარგებლობს სრული უფლებით განახორციელოს „პორტალით“ შესაძლებელი და ნებადართული ნებისმიერი ქმედება. ამასთან, „ადმინისტრატორი“ უფლებამოსილია თავად შექმნას „პორტალის“ მომხმარებლები (შემდგომში - „მომხმარებელი“).</p>	<p>2.2. The Operator reviews the submitted Signup Form within 5 business days. If the Signup Form is not duly completed, the Operator shall give the Subscriber notice to that effect. If the Subscriber uses different types of services, he/she must attach to the Signup Form a letter stating the service(s), as part of which he/she wishes to activate the Portal. If no gap is present, the Operator shall send a link to the Subscriber's email indicated in the Signup Form and the Administrator's account shall be activated by entering link, by completing the appropriate fields and entering a one-off authorization code sent to the mobile number. The Administrator shall have full right to perform any action enabled and authorized by Portal. However, the Administrator may create the Portal users (hereinafter – the User) on his/her own.</p>
<p>2.3. „ადმინისტრატორს“ უფლება აქვს „პორტალის“ საშუალებით ნებისმიერი დროს შექმნას ახალი მომხმარებელი. ახალი „მომხმარებლის“ შესაქმნელად „ადმინისტრატორმა“ უნდა შეავსოს პორტალზე მითითებული ინფორმაცია (მათ შორის, ახალი „მომხმარებლის“ სახელი, გვარი, ელ. ფოსტა, მობილურის ნომერი). „ადმინისტრატორი“ ახალი „მომხმარებლის“ შექმნისას თავად განსაზღვრავს რომელ მომსახურებაზე რა სახის უფლებამოსილება მიანიჭოს (მმართველი ან/და მნახველი). ახალი „მომხმარებლის“ ანგარიში</p>	<p>2.3. The Administrator may create new users at any time by means of Portal. To create the new User, the Administrator must complete the information indicated on the Portal (including the new User's name, email, mobile number). In creating the new User, the Administrator determines on his/her own what right (manager and/or viewer) to grant for what service. The new User account shall be activated by entering the link sent to the email, completing the relevant appropriate fields, and entering the one-off authorization code sent to the</p>

<p>გააქტიურდება ელ. ფოსტაზე გაგზავნილი ბმულზე შესვლით, შესაბამისი ველების შევსებით და მობილურის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი ავტორიზაციის კოდის შეყვანით. „ადმინისტრატორს“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს „მომხმარებლისთვის“ მინიჭებული უფლებები და ასევე დაბლოკოს/განბლოკოს „მომხმარებელი“. დაბლოკილი მომხმარებელი, მის განბლოკვამდე ვეღარ შეძლებს პორტალით სარგებლობას.</p>	<p>mobile number. The Administrator may at any time change the rights granted to the User and block/unblock the User. No blocked User will be able to use the Portal until he/she is unblocked.</p>
<p>2.4. ამ პირობების მიზნებისთვის „უფლებამოსილი მომხმარებელი“ არის ყველა ის მომხმარებელი, რომელიც 2.2 და 2.3 პუნქტებით დადგენილი წესით იქნება დარეგისტრირებული („ადმინისტრატორი“ და „მომხმარებელი“). „პორტალით“ სარგებლობა ხორციელდება უშუალოდ 2.2 და 2.3 პუნქტების შესაბამისად შექმნილი „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მიერ, სახელისა/პაროლის/ავტორიზაციის კოდის გამოყენებით.</p>	<p>2.4. For the purposes of these Terms, the Authorized User is any users registered according to the rules laid down by Paragraphs 2.2 and 2.3 (Administrator and User). The Portal shall be used directly by the Authorized User created according to Paragraphs 2.2 and 2.3, using the name/password/authorization code.</p>
<p>2.5. აბონენტს უფლება აქვს მიმართოს (წერილობით) ოპერატორს, „ადმინისტრატორის“ გაუქმების მოთხოვნით. მოთხოვნის საფუძველზე, ოპერატორი სამუშაო საათებში ახდენს „ადმინისტრატორის“ გაუქმებას. „ადმინისტრატორის“ გაუქმების შემთხვევაში, ასევე უქმდება მის მიერ შექმნილი „მომხმარებლების“ ანგარიშები. ამასთან, გაუქმებული „მომხმარებლების“ მონაცემებით (ელ. ფოსტა) შეუძლებელი იქნება ახალი „ადმინისტრატორის“ მიერ „მომხმარებლის“ ანგარიშის შექმნა. ახალი „ადმინისტრატორის“ აქტივაცია ხორციელდება 2.1-2.3 პუნქტებში მითითებული წესით.</p>	<p>2.5. The Subscriber may apply to the Operator (in writing) with a request to suspend the Administrator. Based on such request, the Operator shall suspend the Administrator on business hours. If the Administrator is suspended, the User accounts created by such Administrator shall also be suspended. However, the new Administrator shall not be able to create a User account with the suspended User data (email). The new Administrator shall be activated in the manner provided by Paragraphs 2.1-2.3.</p>
<p>2.6. აბონენტს უფლება აქვს მიმართოს (წერილობით) ოპერატორს „ადმინისტრატორის“ რეკვიზიტ(ებ)ის (სახელი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი და ა.შ.) რედაქტირების (შეცვლის) მოთხოვნით. მოთხოვნის საფუძველზე, ოპერატორი სამუშაო საათებში ახდენს მოთხოვნის შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, „ადმინისტრატორის“ პაროლი არ იცვლება და „მომხმარებლების“ ანგარიშები არ უქმდება.</p>	<p>2.6. The Subscriber may apply to the Operator (in writing) with a request to revise (change) the Administrator details (name, email, phone number, etc.). Based on such a request, the Operator shall fulfill the request on business hours. In such case, the Administrator password is not changed, and the User accounts are not suspended.</p>
<p>2.7. ნებისმიერი მიზეზით „ადმინისტრატორის“ ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, უქმდება ასეთი „ადმინისტრატორის“ მიერ შექმნილი ყველა „მომხმარებლის“ ანგარიში.</p>	<p>2.7. If the Administrator account is suspended for whatever reason, all the User accounts created by such Administrator shall also be suspended.</p>
<p>2.8. ოპერატორს უფლება აქვს აწარმოოს ჩანაწერების ისტორია „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მიერ „პორტალზე“ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების, მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაციის (ისევე როგორც მოთხოვნის</p>	<p>2.8. The Operator may maintain a history of records of any action performed or any information requested and received (as well as any tangible information received based on the relevant request) by the Authorized User on the Portal.</p>

საფუძველზე მატერიალური სახით მიღებული ინფორმაციის) შესახებ.	
2.9. მხარეთა შორის მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც აბონენტსა და ოპერატორს შორის შეწყდება ხელშეკრულება ყველა იმ მომსახურებებზე, რომლის ფარგლებში შესაძლებელია პორტალით სარგებლობა), წინამდებარე პირობები ითვლება ძალადაკარგულად და წყდება „პორტალით“ სარგებლობის უფლება.	2.9. If the Service Contract between the Parties is terminated (meaning the case, in which the contract between the Subscriber and the Operator is terminated for all the services, as part of which the Portal can be used), these Terms shall be deemed invalid and the right to use the Portal shall cease.
2.10. ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს და შეზღუდოს კონკრეტული „უფლებამოსილი მომხმარებლის“ „პორტალით“ სარგებლობა თუ მიიჩნევს, რომ „უფლებამოსილი მომხმარებელი“ ან/და კონკრეტული მოთხოვნა არის საეჭვო ან არსებობს „პორტალზე“ არასანქცირებული წვდომის ვარაუდი. „პორტალით“ სარგებლობა, ასევე შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ შეიზღუდოს აბონენტის მხრიდან ნებისმიერ მომსახურებაზე დავალიანების არსებობისას და ასეთ შემთხვევაში წვდომა აღდგება დავალიანების სრულად დაფარვიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს. ნებისმიერი მიზეზით პორტალით სარგებლობის შეზღუდვის და შემდგომ სარგებლობის აღდგენისას, შესაძლოა საჭირო გახდეს „მომხმარებლების“ გააქტიურება „ადმინისტრატორის“ მიერ.	2.10. The Operator may at any time suspend and limit the use of the Portal by any Authorized User if the Operator believes that such Authorized User and/or a particular request is suspicious or if any unauthorized access to the Portal is suspected. The use of the Portal by a particular Subscriber may also be limited in whole or in part if there is any overdue debt for any service and, in such case, access to the Portal shall be restored no later than the business day immediately following the day, on which such debt is cleared in full. Where the use of the Portal is suspended for any reason and subsequently restored, the User may need to be activated by the Administrator.
2.11. აბონენტი/ „უფლებამოსილი მომხმარებლები“ ვალდებული არიან საიმედოდ უზრუნველყონ „პორტალის“ სარგებლობისათვის განსაზღვრული სახელი და პაროლის დაცულობა გამჟღავნებისგან და დროულად შეატყობინონ და მოთხოვონ ოპერატორს მისი ცვლილება/„უფლებამოსილი მომხმარებლის“ დაბლოკვა, თუ აბონენტი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს არასანქცირებულ წვდომას. შეტყობინების საფუძველზე, ოპერატორი სამუშაო საათებში ახდენს შესაბამისი მომხმარებლის სახელისა და პაროლის დეაქტივაციას/დაბლოკვას. დეაქტივაციამდე/დაბლოკვამდე არსებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით პორტალით სარგებლობა მიიჩნევა აბონენტის მიერ პორტალით სარგებლობად.	2.11. The Subscriber/Authorized Users shall reliably secure the name and password determined for the use of the Portal from disclosure and give the Operator a timely notice and request that the Operator change them/block the Authorized User if the Subscriber believes that authorized access has occurred. Based on such notice, the Operator shall deactivate/block the relevant user's name and password on business hours. Using the Portal with the user's name and password existing before such deactivation/blocking shall be considered as the use of the Portal by the Subscriber.
3. აბონენტის განცხადებები და გარანტიები	3. Subscriber's Representations and Warranties
3.1. აბონენტი აცნობიერებს რომ „პორტალით“ სარგებლობისას „უფლებამოსილ მომხმარებელს“ ექნება წვდომა გარკვეული სახის ინფორმაციასთან, მათ შორის ისეთთან, რომელიც არის კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება და შეიცავს	3.1. The Subscriber is aware that when using the Portal, the Authorized User shall have access to certain types of information, including those not constituting commercial or professional secrets, and containing personal data. Accordingly, the

პერსონალურ მონაცემებს. შესაბამისად, აბონენტი ვალდებულია განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს „უფლებამოსილი მომხმარებლების“ შერჩევისას, რადგან თვითონ აგებს პასუხს „უფლებამოსილი მომხმარებლის“ მიერ მიღებული/გაზიარებული ასეთი ინფორმაციის კანონიერებაზე, მიზნობრიობაზე, პროპორციულობაზე და მისი გამოყენების შედეგებზე.	Subscriber shall exercise special care in selecting the Authorized Users, as the Subscriber himself/herself shall be responsible for the lawfulness, purposefulness and proportionality of the information received/shared by such Authorized Users and the consequences of the use of such information.
3.2. აბონენტი აცნობიერებს, რომ „პორტალის“ საშუალებით „უფლებამოსილ მომხმარებლებს“ შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ სხვადასხვა სახის მომსახურებები, პაკეტები, ჰქონდეთ წვდომა პერსონალურ ინფორმაციასთან, მათ შორის ნომრის დეტალურ ანგარიშებთან და ისარგებლონ პორტალზე ხელმისაწვდომი სხვა სერვისებით, შესაბამისად, აბონენტი ვალდებულია განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს „უფლებამოსილი მომხმარებლების“ შერჩევისას, რადგან თვითონ აგებს პასუხს „უფლებამოსილი მომხმარებლის“ ქმედებაზე, მათ შორის მიერ შეკვეთილი/შემძენილი მომსახურების ანგარიშსწორებაზე.	3.2. The Subscriber is aware that by means of the Portal the Authorized Users will have the opportunity to purchase different types of services, packages, have access to personal information, including detailed number reports, and use any other services accessible on the Portal. Accordingly, the Subscriber shall exercise special care in selecting the Authorized Users, as the Subscriber himself/herself shall be responsible for the acts of such Authorized Users, including the payments for the services ordered/purchased by such Authorized Users.
3.3. აბონენტი ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ „პორტალი“ გამოყენებული იქნება აბონენტის მიერ მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.	3.3. The Subscriber confirms and warrants that Portal shall be used by the Subscriber strictly for the purposes envisaged by the Contract.
3.4. აბონენტი აცნობიერებს, რომ იგი იქნება პასუხისმგებელი მოსარგებლე ფიზიკური პირების ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, სათანადო თანხმობის გარეშე პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.	3.4. The Subscriber is aware that he/she shall be liable before using natural persons or relevant government authorities for processing personal data without appropriate consent.
3.5. ამ პირობების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ითვლება მხარეთა შორის მანამდე გაფორმებული ყველა გარირება, რომელიც ეხება კორპორაციული პორტალით სარგებლობის პირობებს.	3.5. From the commencement date of these Terms, any and all prior contracts between the Parties regarding the terms of use of the corporate portal shall be deemed invalid.
ოპერატორი Operator -----	აბონენტი: დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული საელჩო საქართველოში Subscriber: Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland

აბონენტი

კორპორაციულ პორტალზე მომხმარებლის რეგისტრაციის ფორმა

Corporate Portal User Signup Form

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული საელჩო საქართველოში
Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland
206057121

კორპორატიული დეპარტამენტის უფროსი, თამარა ჯაიანი

Head of Corporate Services, Tamara Jaiani

გთხოვთ ქვემოთ მითითებულ პირს მიანიჭოთ „პორტალით“ სარგებლობის უფლება „ადმინისტრატორის“ უფლებით

Please grant the right to use the Portal with the Administrator's right to the person indicated below.

სახელი; გვარი Name	E-mail	მობილურის ნომერი Mobile number
ნინო მეტრეველი/Nino Metreveli	Nino.Metreveli@fcdo.gov.uk	+995 591198498

ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

Director's/authorized person's signature

წინამდებარე ფორმაზე ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება პორტალით სარგებლობის პირობებს.

By signing this form, the subscriber confirms to have read and accepted the Terms of Use of the Portal.